გიორგი გურჯიევი

ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის

ადამიანის ცხოვრების
ობიექტურ-მიუკერძოებელი კრიტიკა

ყველა და ყველაფერი / სერიის პირველი წიგნი

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2025

გამოცემულია სამ წიგნად: წიგნი II

მთარგმნელები: ვ. ნარიმანიძე, გ. ბერაძე
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

მესამე გამოცემა

გამომცემლობა „აქტი“, 2025
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-7742-1 (სამივე წიგნის)
ISBN 978-9941-8-7744-5 (მეორე წიგნის)

სარჩევი

თავი XXVIII. აშიატა შიემაშის წმინდა ნაშრომთა განადგურების.....5
მთავარი დამნაშავე.....5
თავი XXIX. წინა ცივილიზაციების შედეგები და თანამედროვე.....27
ცივილიზაციის ყვავილები.....27
თავი XXX. ხელოვნება.....64
თავი XXXI. პლანეტა დედამიწაზე ბელზებელის მეექვსე და.....141
უკანასკნელი ჩასვლა.....141
თავი XXXII. ჰიპნოტიზმი.....175
თავი XXXIII. ბელზებელი – პროფესიით ჰიპნოტიზიორი.....197
თავი XXXIV. რუსეთი.....210
თავი XXXV. ცვლილებები ტრანსსივრცით ხომალდ „კარნაკის“.....274
დასახული ვარდნის კურსში.....274
თავი XXXVI. კიდევ ცოტა რამ გერმანელების შესახებ.....277
თავი XXXVII. საფრანგეთი.....280
თავი XXXVIII. რელიგია.....312
თავი XXXIX. წმინდა პლანეტა „განსაწმენდელი“.....362

გამომცემლობის მიერ გამოცემული გიორგი გურჯიევის წიგნები.....433

თავი XXVIII
აშიატა შიემაშის წმინდა ნაშრომთა განადგურების მთავარი დამნაშავე

– გახსოვს, უკვე მითქვამს შენთვის, რომ იმ ფაქტორთა წარმოქმნის ინიციატივების საფუძველი, რომლებიც უწმინდესი **აშიატა შიემაშის** შეგნებულ ნაშრომთა ჯერ კიდევ შენარჩუნებული ნარჩენების კეთილისმყოფელი შედეგების საბოლოო განადგურების მიზეზები გახდა, გამომდინარეობდა არა სწავლული არსებებიდან, რომლებიც მაშინ ქალაქ ბაბილონში იყო შეკრებილი დედამიწის თითქმის მთელი ზედაპირიდან, და რომ ეს უკანასკნელნი (როგორც ოდითგანვე დამახასიათებელი გახდა დედამიწის ახალი ფორმაციის უმრავლესი სწავლული არსებისთვის), „გადამდებსენიანი ბაცილების“ მსგავსად, მაშინ არსებული ყოველგვარი ბოროტების შეუგნებელი გამავრცელებლები იყვნენ თავიანთი საკუთარი და შემდგომი თაობებისთვის.

იმ დროის სწავლულ არსებათა ყველა შემდგომი დიდი და პატარა მავნე მოქმედების და შეუგნებელ მავნე გამოვლენათა (**აშიატა შიემაშის** წმინდა შეგნებული შრომებისგან მიღებული ბოლო შედეგების განადგურებისთვის) საფუძველი იყო, როგორც ჩემმა შემდგომმა დეტალურმა გამოკვლევებმა (ამ შემდგომი წმინდა მოღვაწეობის შესახებ) მიჩვენა, „გამონაგონი“ სწავლული არსებისა სახელად ლენტროჰამსანინი, თავის დროზე კარგად ცნობილი და ასევე ახალი ფორმაციის სწავლულ არსებებს მიკუთვნებული.

მისი შინაგანი ე.წ. „*ორცენტროსიმძიმური*“ არსებობის შედეგად, ამ დედამიწისეული სამტვინიანი არსების თანდასწრების „*უმაღლესი ყოფიერებითი ნაწილი*“ ობიექტური გონების საჭირო გრადაციამდე იქნა დაფარული და სრულყოფილი, და შედეგად ეს „*უმაღლესი ყოფიერებითი ნაწილი*“ გახდა, როგორც უკვე გითხარი, იმ 313 „*უმაღლესი ყოფიერებითი სხეულიდან*“ ერთ-ერთი, რომლებსაც უწოდებენ „*მარადიულ ჰასნამუსურ ინდივიდუუმებს*“ და რომელთა შემდგომი არსებობის ადგილი სამყაროში არის პატარა პლანეტა, რომელიც „*მარადიული შურისგების*“ სახელით არსებობს.

ახლა ამ დედამიწისეული სამტვინიანი არსების ლენტროჰამსანინის შესახებ დაპირება უნდა შეგისრულო და დაწვრილებით აგიხსნა გამოხატვა „*ჰასნამუსი*“, მაგრამ ამის გაკეთებას ოდნავ მოგვიანებით ვამჯობინებ ამ თხრობის სათანადო ადგილას.

ხსენებული მავნე „გამონაგონი“, ანუ, როგორც თანამედროვე დედამიწისეული სწავლული არსებები თვითონ უწოდებენ ახალი ფორმაციის სწავლული არსების ასეთ გამონაგონს, „თხზულებას“, ანუ „ქმნილებასაც“ კი, რეალიზებულ იქნა ჩემს იქ მეხუთედ მისვლამდე და ქალაქ ბაბილონში პირველად ჩასვლამდე ორი საუკუნით უფრო ადრე, სადაც შეკრებილ იქნა თითქმის მთელი პლანეტის ზედაპირის სწავლული არსებები, ნაწილი იძულებით, ნაწილი ნებაყოფლობით. გასული საუკუნეების ამ სწავლული არსების მავნე თხზულებამ ხსენებული ბაბილონის ეპოქის სწავლულ არსებებამდე მიაღწია ე.წ. „კაშირეიტლირის“ წყალობით, რომელზედაც ეს გამონაგონი იყო დაწერილი თვითონ ხსენებული სწავლულის ლენტროჰამსანინის მიერ. აუცილებლობად ვთვლი იმას, რომ ცოტა უფრო დაწვრილებით გაცნობო ამ ლენტროჰამსანინის წარმოშობის ისტორია, აგრეთვე ის, თუ როგორ გახდა შემდგომში იგი თავისი გარემოცვის შემთხვევითი გარემოებების შედეგად დიდი სწავლული არსება და ავტორიტეტი შენი პლანეტის თითქმის მთელი ზედაპირის მაშინდელი არსებისთვის.

გარდა იმისა, რომ ეს ისტორია თავისთავად ძალიან დამახასიათებელია, იგი შეიძლება ასევე კარგი ამხსნელი მაგალითი იყოს იმ პრაქტიკისა, რომელიც უკვე კარგა ხნის წინ იქნა მტკიცედ დაფუძნებული ამ სამტვინიან არსებათა არსებობის პროცესში, რომლის შედეგადაც ზოგიერთი მათგანი თავიდან ხდება, ასე ვთქვათ, ავტორიტეტი ახალი ფორმაციის სხვა სწავლული არსებებისთვის და ამის გამო შემდგომში უბედური ჩვეულებრივი არსებებისთვის იქ.

წვრილმანები, რომლებიც ეხება ამ ლენტროჰამსანინის წარმოშობის და პასუხისმგებელ არსებად შემდგომი ფორმირების პირობებს, შემთხვევით გაირკვა ჩემთვის, სხვათა შორის, იმ ჩემი გამოკვლევების დროს, შენი საყვარელი არსებების უცნაური ფსიქეის რომელი ასპექტები წარმოადგენს თანდათანობითი ცვლილების და, საბოლოო ჯამში, ასევე ყველა იმ განსაკუთრებული სასარგებლო ფორმისა და ჩვეულების სრული განადგურების საფუძველს, მათი *ყოფიერებითი არსებობის* პროცესში, რომლებიც შემოღებულ და მყარად დადგენილ იქნა ამ პროცესში ჩვენი, ამჟამად ზოგადკოსმოსური უწმინდესი, **აშიატა შიემაშის** იდეალურად გათვალისწინებული გონების მიერ **მისი** იმისათვის მომზადების პერიოდში, რომ იმად ქცეულიყო, რასაც **ის** ამჟამად მთელი სამყაროსთვის წარმოადგენს.

მაშინ შევიტყვე, რომ ეს ლენტროჰამსანინი წარმოიშვა, ანუ, როგორც იქ ამბობენ, „დაიბადა“, აზიის კონტინენტზე, ნიევიის დედაქალაქში, ქალაქ კრონბუჰონში.

მისი წარმოშობის ჩასახვა იყო იმ ორი სხვადასხვა სახის ეგზიოეჰარიის შერწყმის შედეგი, რომლებიც ჩამოყალიბდა ორ უკვე მოხუცებულ სამტვინიან კესჩაპმარტნულ არსებაში.

მისი „მწარმოებლები“, ანუ, როგორც იქ ამბობენ, მისი „მშობლები“, რომლებმაც მუდმივი არსებობის ადგილად ნიევიის დედაქალაქი აირჩიეს, სამი დედამიწისეული წლით უფრო ადრე გადასახლდნენ იქ, ვიდრე ეს, შემდგომში მსოფლიო ჰასნამუსი, გაჩნდებოდა.

თავისი მოხუცი და ძალიან მდიდარი მშობლებისთვის იგი იყო ე.წ. „პირმშო“, რადგან, მართალია, მანამდე მათ შორის ბევრჯერ რე-

ალიზებულა მათი ეგზიოეჰარია, მაგრამ, როგორც გავარკვიე, ისინი ძალიან იყვნენ გატაცებულნი სიმდიდრის შეძენით და ამისთვის არავითარი დაბრკოლება არ სურდათ, და ამ წმინდა შერწყმის ყოველი რეალიზაციის დროს ე.წ. „ტუსის“, ანუ, როგორც შენი თანამედროვე საყვარელი არსებები გამოხატავენ, „აბორტს“ მიმართავდნენ.

თავისი მოღვაწეობის დასასრულს სიმდიდრის შეძენის დარგში „*მისი წარმოშობის აქტიური პრინციპის წყაროს*“, ანუ, როგორც იქ ამბობენ, მის მამას, ჰქონდა რამდენიმე თავისი საკუთარი ე.წ. „ქარავანი“, აგრეთვე ფლობდა სპეციალურ „ქარვასლებს“ საქონლის გაცვლისთვის სწორედ იმ ნიევიის სხვადასხვა ქალაქში.

ხოლო „*მისი წარმოშობის პასიური პრინციპის წყარო*“, ანუ მისი დედა, თავიდან იყო პროფესიით ე.წ. „ტუსიჯი“, მაგრამ მოგვიანებით მან დიდ მთაზე ე.წ. „*წმინდა ადგილის*“ ორგანიზება მოახდინა და ფართოდ გაავრცელა სხვა არსებებს შორის ცნობები მის ვითომდა განსაკუთრებულ დანიშნულებაზე, კერძოდ, რომ მდედრობითი სქესის უშვილო არსებებს, ამ ადგილის სტუმრობის შემდეგ, შვილების შეძენის შესაძლებლობა უჩნდებათ.

როდესაც ეს წყვილი ე.წ. „სიბერის ჟამს“ უკვე ძალიან მდიდარი გახდა, ისინი ქალაქ კრონბუჰონში გადასახლდნენ, რათა იქ საკუთარი სიამოვნებისთვის ეარსებათ.

მაგრამ მალე იგრძნეს, რომ ნამდვილი „შედეგის“ გარეშე, ანუ, როგორც იქ ამბობენ, „*უშვილობაში*“, შეუძლებელია სრული სიამოვნება, და იმ დროიდან აღარ სურდათ ე.წ. „ფული“ და ყველა ზომას მიმართავდნენ იმისათვის, რომ ასეთი შედეგი მიეღოთ. ასეთი განზრახვით ისინი სტუმრობდნენ ამ მიზნით იქ არსებულ სხვადასხვა წმინდა ადგილს, რა თქმა უნდა, თავიანთი საკუთარი „*წმინდა მთის*“ გამოკლებით, და ყოველგვარ ე.წ. „სამედიცინო საშუალებას“ მიმართავდნენ, რომელთა მიზანიც იყო დახმარებოდა სხვადასხვა სახის ეგზიოეჰარიებს შერწყმაში; და როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ასეთი შერწყმის რეალიზება მოხდა შემთხვევით, გარკვეული დროის შე-

მდეგ წარმოიშვა მათი ეს დიდი ხნის ნანატრი შედეგი, რომელსაც შემდეგ ლენტროჰამსანინი ეწოდა.

მისი წარმოშობის პირველივე დღიდან, რასაც ისინი უწოდებდნენ თავიანთ „*ღმერთის ნაჩუქარ შედეგს*“, ანუ ვაჟს, მშობლები სრულიად გატაცებულნი იყვნენ მისით; და უზარმაზარ თანხას ხარჯავდნენ მის სიამოვნებებსა და ე.წ. „აღზრდაზე“.

შვილისთვის საუკეთესო „აღზრდის“ და „განათლების“ მიცემა, რის მიცემაც კი შეიძლება დედამიწაზე, მათთვის გახდა, როგორც იქ ამბობენ, „ნატვრა“. ამ მიზნით ისინი სხვადასხვა ე.წ. „აღმზრდელსა“ და „მასწავლებელს“ ქირაობდნენ როგორც ქვეყანა ნიევიაში, ასევე სხვადასხვა შორეულ ქვეყანაში. ამ უცხოელ „აღმზრდელებს“ და „მასწავლებლებს“ ისინი მაშინ, უმთავრესად, იმ ქვეყნიდან იწვევდნენ, რომელსაც ახლა „ეგვიპტე“ ჰქვია.

უკვე იმ დროისთვის, როცა ეს დედამიწისეული ე.წ. „*მამიკოს* და *დედიკოს საყვარელი ვაჟი*“ პასუხისმგებელი არსების ასაკს უახლოვდებოდა, ის, როგორც იქ ამბობენ, ძალიან კარგად „განათლებული“ და „აღზრდილი“ იყო, ანუ მის თანდასწრებაში იყო მონაცემები ყოველგვარი ყოფიერებითი „ეგოპლასტიკურისთვის“, რომლებიც შედგებოდა, როგორც ჩვეულებრივ იქ არის ხოლმე (მათი არსებობის არანორმალური პირობების დამყარების შედეგად), სხვადასხვა ფანტასტიკური და საეჭვო ცნობისგან; და მოგვიანებით, როცა ის პასუხისმგებელი არსება გახდა, ავტომატურად ავლენდა თავს ყოველგვარი შესაბამისი შემთხვევითი ბიძგების საშუალებით.

როდესაც ამ, შემდგომში დიდმა, სწავლულმა არსებამ პასუხისმგებელი არსების ასაკს მიაღწია, და თუმცა ის ნამდვილად ფლობდა დიდი რაოდენობის ცნობებს, ანუ, როგორც იქ ამბობენ, „ცოდნას“, მას მაინც არ ჰქონდა აბსოლუტურად არავითარი **ყოფიერება**, მის მიერ ამ შეძენილი ცნობების, ანუ ცოდნის შესაბამისი.

და აი, როდესაც ნახსენები *მამიკოს* და *დედიკოს საყვარელი ვაჟი* ახალი ფორმაციის სწავლული არსება გახდა, მაშინ რამდენადაც, ერთი მხრივ, მის თანდასწრებაში არავითარი **ყოფიერება** არ

იყო და, მეორე მხრივ, მასში იმ დროისთვის უკვე საფუძვლიანად განიცადა კრისტალიზაცია ორგანო კუნდაბუფერის თვისებების იმ შედეგებმა, რომლებიც იქ არსებობს სახელწოდებით „პატივმოყვარეობა“, „თავმოყვარეობა“, „ამპარტავნობა“ და ა.შ., მას გაუჩნდა პატივმოყვრული სურვილი გამხდარიყო სწავლული არსება, ცნობილი არა მარტო ნიევიას არსებებს შორის, არამედ მათი პლანეტის მთელ ზედაპირზე.

ამიტომ მთელი თავისი თანდასწრებით ოცნებობდა და ფიქრობდა იმაზე, ამისთვის როგორ მიეღწია.

მაშინ ის დიდხანს ფიქრობდა სერიოზულად და, ბოლოს, გადაწყვიტა, ჯერ ერთი, მოეფიქრებინა თეორია თემაზე, რომელსაც მანამდე არავინ არასოდეს შეხებია, და მეორეც, ეს „გამოგონება“ ისეთ კაშირეიტლირზე დაეწერა, რომელზედაც არავის არასოდეს დაუწერია და მომავალშიც ვერ შეძლებდა.

და იმ დღიდან ამ თავისი გადაწყვეტილების რეალიზაციისთვის მზადება დაიწყო.

თავის მრავალრიცხოვან მონათა დახმარებით მან ჯერ ისეთი კაშირეიტლირი მოამზადა, რომელიც წინათ არასოდეს ყოფილა.

დროის იმ პერიოდში პლანეტა დედამიწაზე კაშირეიტლირები ჩვეულებრივ კეთდებოდა ოთხფეხა არსების (სახელად „კამეჩი“) ტყავის რომელიმე ნაწილისგან, მაგრამ ლენტროჰამსანინმა თავისი კაშირეიტლირი ერთად შეკრული ასი კამეჩის ტყავისგან დაამზადა. ეს კაშირეიტლირები შემდეგ ე.წ. „პერგამენტით“ იქნა შეცვლილი.

და აი, როდესაც ეს არაჩვეულებრივი კაშირეიტლირი მზად იყო, შემდგომში უკვე დიდმა ლენტროჰამსანინმა მასზე თავისი მემუარები დაწერა, რომელიც იმ თემას ეხებოდა, რომლის განხილვა მანამდე არავის არასოდეს მოსვლია თავში, და განხილვისთვის საფუძველიც კი არ ყოფილა.

კერძოდ კი, ამ ტვინის ჭყლეტაში ის ყოველნაირად აკრიტიკებდა კოლექტიური არსებობის მაშინ არსებულ წესს.

ეს კაშირეიტლირი ასე იწყებოდა:

გამომცემლობის მიერ გამოცემული
გიორგი გურჯიევის წიგნები

1. გრძნეულთა ბრძოლა
2. დანახული რეალური სამყაროდან
3. შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
4. ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის
5. ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“